ერი

№ 15
წელიწადი პირველი
1913

ფასი:

წლიურათ	7 მანეთი
ნახევარი წლით	4 მანეთი
თვიურათ	4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სამშაბათი, 19 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ყოველდღიური გაზეთი

„რადიუმი“
18 და 19 ნოემბერს.
20 თეატრი დაკეტილი იქნება.

I. პატე ჟურნალი.
II. წმ. მარკოზის ტაძარი ვენეციაში.

III. ქალის მამა
3 მოქმედ. დრამა.
IV. საქმროს გადასავალი
კომიკური.

V. პროგრამის გარეთ:
ღედის სიფლავზე
2 მოქ. ძლიერი დრამა
„ამბრიოზიოს“ ოქროს სერიიდან.

დრაფი ბიბერი ტრიკომაუდი.

პაპეგზე დამუარეგული ამხანაგობა
ს. მ. პირაპოზოვი
და ბ. ბ. ოგანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი
საზამთრო
საქონელი

კოტიკი ბლიუნი ველვეტი.

შაბათობით იყიდება
იაფათ
ნაჭრები.

ველვიური გენუია იდეალი ფლორა.

1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

„ერი“

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი,
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური,

წლიური ხელისმომწერ» გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.

მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Ери“. Ивановская, д. В. Чиладзе.

ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери“.

გაზ. „ერის“ კანტორა ღია აქვს დილის 9—2 და ნაშვადღევის 5—7 საათამდი. კვირა-უქმე დღეებში დილის 8—12.

გაუბედურებულნი ცოლშვილი და დედმამა, გულმოკლული ძმები, დები, რძლები და სიძე თავზარდაცემულნი ტეხნიკის

დავით პეტრეს ძის ულეისკირის

მოულოდნელის სიკვდილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ამ სამწუხარო ამბავს.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ექვს საათზე, დადიანის ქუჩაზე, საკუთარ სახლში.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზ ის **უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკ ბი, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ღაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რეზიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კ ცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

კ[illegible]ც თუთუნს ეძებ, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ **პაპიროზებს**

პაროსი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } **იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.**

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თამბაქოთი თუთუნისაა, სასიამოვნოთ და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**
თფილისში.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დელიბაგ“

10 ცალი 6 ვაპ. 25 ცალი 3 შ. **იყიდება ყველგან.**

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კოშაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

ქუთაისის საზოგადო საგრებულო.

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს ქალთა წრის საფინანსო-კომისია წრის საშვალებათა ვასამლიერებლათ გამართავს

ქართულ საღამოს.

დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში
(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო-სამართველოს ქვეშ)
18 ნოემბრიდან გაიხსნება

დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნაა.

განცხადება.

გმელდება ხელისმოწერა ჟურნალ **„სასოფლო გაზეთზე“**

24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი, მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანათი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანათი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ. Селскохозяйственная школа Александру Шаращидзе.

ქუთაისი

პირველი ევრო- სამკურნალო- სპეციალისტი აქიმებით.

მუდმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

გ. ს. ამაანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული.	1— 2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რედიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო	11—12
მ. დ. ბუთხოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12— 2
გ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½ 2

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის	4½—5½
გ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	5½—6½

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავთმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

აქიმი ი. ჩარექოკი იღებს **კანისა** და ვენერიულ ავთმყოფებს **ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავთმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ღაბა ზესკაფონი

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავთმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თეოდორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

აქიმი **გ. ა. მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავთმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

კბილის აქიმი მახარაშვილი გადავიდა სტეფანოვის სახლში, ბალახვანის ქუჩის დასაწყისი.

აქიმი **დ. ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავთმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

მასაჟით სამკურნალო- კაბინეტი.

მ. გალანჩევაძისა

კვლავ განაახლა ავთმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საქმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავთმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

აქიმი კ. თ. **ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმმა **ბ. ა. მირაქოვმა** დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავთმყოფების მიღება.

ქართული პრესა.

„თემის“ უკანასკნელ (150) ნუმერში მეორე წერილია მოთავსებული ა. ი. გომართლისა: — **რისთვის?**

„ერთს ნამდვილ ამბავს მოგახსენებთ. მეგობარმა გოჯი მაჩუქა ძუძუსი; წუმპე, უწმინდურება ჯერ მას არ ენახა; ოთოთ იყო. ბამბის ქულასა გავდა; ოთახში ვზდიდი, ლოგინში ვაწვენდი. ხშირათ ვბანდი თფილ წყალში. მინდოდა, გამეგო, რა შედეგი მოყვებოდა ამგვარათ ზდას. წარმოიდგინეთ ჩემი სასოწარკვეთილება, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ჩემი სათუთად ნაზარდი გოჯი უწმინდურ ალაგას დავინახე დინგ-ამოსვრილი!

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, მაგრამ რა ვქნა, როცა ქართულ გაზეთებსა ვკითხულობ, ეს გოჯი ხშირათ წამოიმიდგება ხოლმე თვალ წინ. აი, ახლაც ის „მერცხალმა“ მომაგონა. რამდენიც უნდა უჩიჩინოთ ზოგიერთ ადამიანს, რომ ლანძღვა-გინება უპირველესათ მლანძღველს არცხვენს, ის მაინც ვერ მოიშლის და ვერა.

ასეთია ზოგიერთი ადამიანის ბუნება.

ჩემი პატარა წერილის პასუხათ „მერცხალმა“ მაგრათ, ძალიან მაგრათ გამომლანძღა.

შემდეგ თავის მკითხველებს ამცნო: გომართელი რენეგატია, თავის წრწმენას, თავის იდეებსა და მისწრაფებას ფეხით შესდგომია და სჯიჯგნისო.

ავტორის თანამოაზრეთა წრეში ერთგვარი ტერორია გამეფებული: იმ წევრს, რომელიც თავის საკუთარ „მე“-ს არ უარყოფს, ყოველ წვრილმანში სხვებს არ დაემორჩილება, საკუთარ აზროვნებას გაბედავს და არ გადაიქცევა ჭურათ, რომელიც იმას ამოიძახებს, რასაც სხვები ჩასძახებენ, მაშინათვე მოღალატეთ გამოაცხადებენ.

ეს საშვალება ორიგინალური არ არის, ეს დიდი ხანია მოიგონა რუსეთის ბიუროკრატიამ, რომელიც თავის ურჩ წევრს რევოლუციონერათ ნათლავს და ციმბირშიც კი გადაასახლებს ხოლმე. ასე მონათლეს მაგალითად ლოპუხინი რევოლიუციონერათ და ციმბირში უკრეს თავი.

ამგვარივე ტერორია გამეფებული, „მერცხლის“ თანამოაზრეთა წრეში.

რა მიზანი აქვს ასეთ საშვალებას?

პირველი—წევრთა დაშინება.

მეორე-შეგნებულ მიმდევართა დაბრმავება.

საკმაოთ გამბედავი უნდა იყოს ადამიანი, რომ უშვერ ლანძღვა-გინებას, რენეგატის, მოღალატის სახელწოდებას არ შეუშინდეს. აკი კიდევაც ეშინია ბევრს და არის გაჩუმებული. მე ვიცი ზოგიერთი,—ეროვნულ საკითხში სრულებით სხვა გზას ადგია,

ეს საკითხი ისე არ ესმის, როგორც უმრავლესობას, მაგრამ გაჩუმებულია.

წარმოიდგინეთ შეგნებული მუშა, რომელიც წაიკითხავს „მერცხალში“ ჩემს წინააღმდეგ მომართულ წერილს, ის მაშინათვე ასე ფიქრობს: გომართელი ჩვენი მოღალატე ყოფილა და. ეროვნული საკითხის შესახებაც მიტომ არ ეთანხმება ჩვენებსო. ის მაშინათვე შემომაქცევს ზურგს და უარყოფს ჩემ მიერ განმარტებას ეროვნულ საკითხისას. ამას შემდეგ, რამდენიც უნდა ვუჩიჩინო, ის ერთსა და იმავეს გაიმეორებს: თავი დამანებე, შენი ალარა მჯერარა, მოღალატე, რენეგატი ხარო.

როგორც ხედავთ, იქ, საცა საბუთი ალარ არის, საცა აზრის სიკოტრეა, სიტყვა მოღალატე, რენეგატი მეტათ მძლავრი საშვალებაა. შეუგნებელ ადამიანს ის კეტივითა ხვდება თავში და თვალებს კიდევ უფრო უბნელებს, აზროვნებას უხშობს.

აი, ეს მიზანი აქვს ახლაც „მერცხალს“. მთავარ საკითხს ჩვენი უთანხმოებისას, ჩემი „დაწუნებისა“, როგორც ისა სწერს, ის გვერდს უხვევს და თავის მასას ეუბნება, გომართელი მოღალატეა, მაგისი არა იწამოთ რაო.

„ვცან სიკოტრე ბოროტისა“, უთქვამს რუსთველს. „მერცხლის“ თანამოაზრეთა მასა დღეს ალარ წარმოადგენს იმ ცომს, რომელსაც „მერცხლის ზოგიერთი მწერალი ისე ზელავდა, როგორც მას სურდა. ადრე თუ გვიან ეს მასაც შეიგნებს, თუ სად არის სიმართლე, რომელსაც ასე მაგრათ ქოლავს “მერცხალი“.

რითი გამოიხატა ჩემი მოღალატეობა?

აი, რითი.

პირველი იმით, რომ ამ ხუთიოდე წლის წინათ გავბედე და ვსთქვი ქუთათურ გაზეთში: მოძრაობამ ჩვენი მოლოდინი არ გაამართლა მიწების შესახებ და ვიღონოთ რაიმე ღონე, რომ გლეხებმა თავად-აზნაურობის მიწა-წყალი ხელიდან არ გაუშვან მეთქი.

მეორე იმით, რომ ვ. ორბელიანის პოეზიის შესახებ ლექციის წიკითხვის დროს გავბედე და ვსთქვი: სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესი გრძნობაა და ამ გრძნობას ყველა უნდა ვეფერებოდეთ მეთქი-

რამდენიც კი შეიძლებოდა, შემამკეს ამის გულისათვის.

რაც მაშინ დაიკლდათ, ახლა მომიძღვნეს. ამას მიემატა წვრილმანებიც (მაგ. ილია ჭავჭავაძის დიდებულ მამულიშვილათ აღიარება, არჩილ ჯორჯაძის ქება და სხ.) მაგრამ უმთავრესი, რისთვისაც „მერცხალი ასე კეთილათ მიხსენებს, ეროვნული საკითხია, ეროვნული საკითხი არ შეადგენს საზოგადოთ მოძღვრების მთავარ დებულებას.

ეროვნული საკითხის შესახებ დასში არავითარი საბოლოოთ გადაჭრილი აზრი არ არსებობს.

მტუხედავათ ამისა საგმარისია რომელიმემ საკუთარი გზა გაიკვლიოს ამ ჩვენი ქვეყნისთვის ფრიადს დიდ მნიშვნელოვან საკითხში, რომ დასის მწერალთა ერთმა ნაწილმა ის ჯვარს აცვას.

ასე მომივიდა მეც.

მაგრამ ნათქვამია: ვისაც ტალახის ეშინია, ის კარში არ გამოვაო. ჩემს სიცოცხლეში ქებაც ბევრი მსმენია, ლანძღვაც (უკანასკნელი განსაკუთრებით თანამოაზრეთაგან). ახლა ორივეს მივეჩვიე და ორივეს გულგრილათ ვუხვდები; მოსვენებით კი არ მოვისვენებ მანამდი, სანამ ჩვენი მშრომელი ხალხი ხმა-მაღლა არ გამოაცხადებს: ჩემთვის ქართველი ერის კულტურული განვითარება და მისი ტერიტორიის დაცვა განუყოფელი და განუყოფელიაო. რომ ეს მალე იქნება და მშრომელი ხალხი სწორეთ ასე გადასწყვეტს ეროვნულ საკითხს და არა ისე, როგორც ამას „მერცხალი“ ჩასჩიჩინებს, აქ არავითარი ეჭვი არა მაქვს.

ივ. გომართელი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

17 ნოემბერს საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტის სხდომა მოხდა, რომელმაც მიმდინარე წლის საქმეები განიხილა და დაადგინა:—დაენიშნოს ყოველთვიური პენსია მსახიობ ქალს დესპინე ივანიძის ასულს 5 მანეთი თვეში და ქრისტინე სვანიძის ასულსაც სამი მანეთი. კომიტეტის წევრთ დაევალა ცნობები შეკრიბონ იმ პირთა ნივთიერი მდგომარეობის შესახებ, რომელნიც დახმარებას თხოულობენ. გამგეობის წევრთ ქ-ნ ჩარექოვისასა და ბ-ნ ჩიმაკაძეს დაევალათ, რომ საზოგადოების სასარგებლოთ ელექტრო თეატრ „რადიუმში“ სეანსები მოაწყონ: ამავე დღეს კომიტეტმა პენსიონერებს სეპტემბრისა და ოკტომბრის პენსიები დაურიგა.

✦ ქუთაისში ნორმალური დასვენების საქმეზე ბევრი დაიწერა, კომისიებიც შედგა, მაგრამ, რა გამოვიდა, დადგენილება დადგენილებათ დარჩა და სავაჭროების გაღება დაკეტვის საქმე ისევ ძველებურათ წარმოებს. ყურადღებელი არავინაა. თეთრ ხიდ გალმა უბანი ხომ მთლათ უპატრონოთ არის მიტოვებული. ძველათ კვირა უქმი დღეს წირვის გამოსვლამდი მაინც აკეტიებდენ და ახლა სულ ნიადაგ ღიაა სავაჭროები.

✦ შაბათს, 16 ნოემბერს, სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია საქმე შალვა ნადარეიშვილისა და მიხაკო მუშლაძის. პირველს გადაწყვეტი ი ქონდა ორი წლითა და რვა თვით გამასწორებელ რაზმი არყის გამოხდისთვის, მეორეს წლისა და რვა თვის გამასწორებელი რაზმი. პალატამ ორივე გაამართლა.

✦ ძმათა ზუბალაშვილების მიერ შეწირული 200 ათასი მანეთით თფილისში გაიხსნა საბავშო საავათმყოფო.

✦ ბათომის ქალაქის თვითმართველობას პეტერბურგში მყოფის ქალაქის მოურავის თავ. ანდრონიკაშვილისაგან შემდეგი შინაარსის დეპეში მიუღია: —„სახელმწიფო სათათფიროს ფინანსიურმა კომისიამ, რომელშიც მეც მივიღე მონაწილეობა, ერთხმათ მიიღო კანონპროექტი სახელმწიფო საბჭოს რედაქციით ბათომის სასარგებლო საფუთო გადასახადის შესახებ.“

✦ თფილისში გაიხსნა კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრება. კრება შეეხება ქალაქების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხსა და ხოლერისა და შავიჭირის წინააღმდეგ ზომების გამონახვას.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ მიიღო გასაყიდათ ᲗᲗ. გოთუას „Правда о политехникумѣ“, და „ბელისისა და მისი დამცველების“ დიდი სურათი, რომელიც წიგნის მაღაზიებს დაურიგდა. გოთუას წიგნი 3 აბაზათ ღირს, სურათი კი ათ შაურათ. კანტორამ მიიღო აგრეთვე „განათლების“ № 6, ოკტომბრის ხელისმომწერთათვის და გასაყიდათ.

თფილისი.

✦ სად აშენდეს პოლიტეხნიკუმი? 14 ნოემბერს საუწყებათაშორისო კომისიის კრება ნაშვადღევის 2 საათზე დაიწყო და საღამოს რვა საათზე დასრულდა. კრება მოხდა მეფის მოადგილის საბჭოს დარბაზში მეფის მოადგილის საბჭოს წევრთა მ. პ. გაკელის თავჯდომარეობით. მთელი დრო კომისიამ მოანდომა პოლიტეხნიკუმისთვის ალთქმული მიწების თვისებისა და საჭირო ხარჯების რაოდენობის გამორკვევას. კომისიამ მოისმინა მცირე კომისიის წევრის, საკანტროლო პალატის გამგის ბ-ნი სმირნოვის მოხსენება, რომელშიც ბ-ნი სმირნოვი აღნიშნავდა, რომ საფინანსო მოსაზრებათა გამო უფრო ხელსაყრელია საბურთალოში აგება პოლიტეხნიკუმისა, რადგანაც ნავთლუღის მიწებს ფასი მაშინაც კი არ დაედება, პოლიტეხნიკუმი იქ რომ აშენდესო. მცირე კომისიის გამოანგარიშებით

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ.

მეფე ფერდინანდი სოფიას მ ვიდა.

— საბოლოოთ გადასწყდა გერმანელი პრინცის ვიდის ალბანეთის მთავრათ დანიშვნა.

— მილიუკოვი პარიზს წავიდა სომეხთა კონფერანციაზე დასასწრებლათ.

— ოკტომბრისტთა კონფერენციის რეზოლუციებს ამ პარტიის სათათფიროს ფრაქციაც ღებულობს.

— იტალიის დეპუტატთა პალატის სხდომები დაიწყო.

— პრესის [illegible] კომისია პროექტის მეხლობრივ [illegible]ვას განაგრ[illegible]

— უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო შკოლათა გახსნის პლანი შეიმუშავეს და ერთი ამგვარი შკოლა კავკასიაშიც გაიხსნება.

— თფილისში კავკასიის ქალის წარმომადგენელთა მეორე კრება გაიხსნა.

— კიევიდან ებრაელ მოწფეს ასახლებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ“

ალ. შანშიაშვილისა.

(**კრიტიკული შენიშვნები**).

„სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე მსოფლიო სევდის პოეზიის მოკლე განხილვის დროს გაკვრით შევეხეთ ალ. შანშიაშკილის ახალ ნაწარმოებს: „**იდუმალობის წინაშე**“*). ამ ჟამათ გვინდა ცოტა უფრო ხანგრძლივ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. მართალია, ჩვენი ნიჭიერი ახალგაზდა მგოსნის სხვა ნაწარმოებთა შორის „იდუმალობის წინაშე“ სუსტი ნაწარმოებია, მხატვრული შესრულების მხრით და ამიტომ შესაძლებელია იგი ბევრმა სხვებს არ დაადაროს, მაგრამ შინაარსის მხრით იგი იმდენათ საყურადღებოა, რომ ურიგო არ იქნება მას ცოტა უფრო დაახლოებით გავეცნოთ; ამასთანავე იგი სრულიადაც არ არის მოკლებული სავსებით წმინდა მხატვრულ ღირსებასაც.

„იდუმალობის წინაშე“ განსაკუთრებითი ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოებია; თუ სხვა ადგილას მგოსნის შემოქმედებას თავისუფლათ გაუშლია ფრთა, აქ მისთვის ბასრი ბჟუალები შემოუჭედია სიცოცხლის საიდუმლოს ფიქრს. მგოსანიც მწარეთ წარმოსთქვამს:

„ამოცანათ გადამექცა
ჩვენი ყოფნა დასასრული;
სადან მოგვალთ? სად მივდიგართ?**)
— ნუთუ მართლა მიწა ვართ და
ისევ მიწათ გადვიქცევით?
რა მიზანი გვაქვს ჩვენ სრული?
მოვისპობით სამუდამოთ,
სიკვდილისგან დავიძლევით?
რაღა დარჩეს ჩვენს შემდგომათ,
კვლავ ვსულდგმულობთ მიწის ზევით?
ამ მწარე ფიქრს შეუშყრიგარ,
ამას ვზიავ ტრემლის ფრქვევით.

სწორეთ სულის ასეთი განწყობილების გავლენით შექმნა უკვდავმა გიოტემ თვისი დიდებული „ფაუსტი“ და სხვა მრავალმა მგოსანმა თვისი ძვირფასი ნაწარმოები. ამით, რასაკვირველია, მე შანშიაშვილს არც გიოტესა და არც სხვებს არ ვადარებ, აღვნიშნავ მხოლოდ იმ ფაკტს, რომ „იდუმალობის წინაშე“ მამხილებელია ქვეყნიური ცხოვრების საიდუმლოს შესახებ ღრმა ფიქრისა და ამ მხრით—კი, ვინ იცის, ეგებ ჩვენმა მგოსანმაც ისეთი ძვირფასი ნაწარმოები გვაჩუქოს, რომელიც მდიდარი იქნება მხატვრული შესრულების მხრით და ღრმა ფილოსოფიური შინაარსით...

როგორც თითქმის ყველა ასეთი შინაარსის ნაწარმოებს, „იდუმალობის წინაშე“-საც სულის მელანქოლიური განწყობილების ძლიერი ელფერი ატყვია. საერთოდ პესიმიზმის განსამარტებლათ საფრანგეთის ცნობილი კრიტიკოსი ბრიუნეტიერი 3 მიზეზს აყენებს (იხ. მისი შრომა: (პესიმიზმის წყაროები“). 1—ლი **სიკვდილის შიში**, რომელიც განუთვისებლათაა შეერთებული ჩვენს ორგანიზაციასთან,—მიზეზი, რომლის გავლენისგანაც მხოლოდ ჩვენი არსებობის მოსპობას შემდეგ გავთავისუფლდებით. დაუჯერებელია, რომ ჩვენ ოდესმე დავთურგნოთ სიკვდილიო მეორე მიზეზი—ადამიანის ცოდნის საზღვარდაუდევლობაა. მეტაფიზიკურ სევდას თვისი სხვერპლი ყავს; არიან ისეთი გონების პატრონნი, რომელნიც იტანჯებ ან თვისი უმეცრების შეგნებით. მესამე მიზეზი—სილარიბე, უსამართლობა და ცოდვა, რომელნიც ყველგან მეფობენო*.) მათი მოსპობის იმედი ბრიუნეტიერს სრულიად არ აქვს**).

პირველს ორ მიზეზს რაოდენადმე ჩვენც ვიზიარებთ პესიმიზმის წარმოშობის განსამარტებლათ, ხოლო სავსებით უარს ვყოფთ მესამეს, რადგან ღრმათ გვწამს კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალი. და ამ შემთხვევაში კი ამ მიზეზის აღიარება—მხოლოდ ხანმოკლე, სულიერი განწყობილების პესიმიზმის აღიარებას მოასწავებდა და ჩვენ კი მხედველობაში ფილოსოფიური პესიმიზმი გვაქვს. ამის შესახებ უკვე შემთხვევა მქონდა, აზრი გამომეთქვა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე და სიტყვას ალარ განვაგრძობ. (იხ. „სახ. გაზეთი“ № 992, ფელეტონი).

ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული ბრიუნეტიერის, რომელი მიზეზის საშვალებითაც შეგვიძლია გამოვარკვიოთ ის მელანქოლიური სულიერი განწყობილება, რომელიც „იდუმალობის წინაშე“-სგან ნათლათ გამოსჭვივის?

ვიდრე ამ კითხვას გამოვარკვევდეთ, ურიგო არ იქნება მოკლეთ გავეცნოთ ნაწარმოების შინაარსს.

ორი გულითადი მეგობარი—ლევანი და გოგი ერთმანეთს ეკამათებიან სულის უკვდავებისა და ღვთაების შესახებ. გოგი ამტკიცებს: „არის სულის უკვდავება, იგი წმინდა ჩვენ გვამაღლებს და შეგნება გვენიჭებაო“. ლევანი მეტათ სკეპტიკურათ უყურებს ამ საკითხს; იგი გადაჭრით ამბობს: „გამოტეხით ამას გეტყვი, არ არსებობს კაცში სულიო“. იგი ეხება ადამიანთა დროთა ვითარებაში წარმოშობის ისტორიას და ადამიანთა და პირუტყვთა ცხოვრებაში ისეთ რამ განსხვავებას ვერ პოულობს, რომელიც პირველთა რაღაც განსაკუთრებითი სულის არსებობას ამხილებდეს.

„კაცი მრავალ საუკუნეს
რა სხეულით განვითარდა,
ავარჯიშა თვისი აზრი,
გრძნობაც მასვე შეუფარდა.
და ეს არის, სულს რომ ვუხმობთ,
ეს ტვინისგან ადმოცენდა“.ᲗᲗ.—

ამბობს იგი. სულის შესახებ ამ წმინდა მატერიალისტურ მსჯელობას ვერას გზით ვერ ეთანხმება გოგი:

„მე მრწამს სულის არსებობა,
მრწამს აგრეთვე ის ღრმა-ერთი,
ვისგან სული მე შთამედგა,
ვის სახელათ ქვეა დმერთი“-ᲗᲗ.—

წარმოსთქვამს იგი. ლევანს კი ეს გოგის ღრმა რწმენა მხოლოდ ოცნებათ მიაჩნია: „ღმერთს თვით შენ ქმნი შეგნებაში და იმდენათ მაღალს, დიადს, რამდენათაც ეგ შეფერის დიდი ბუნების ადამიანსო“. თუ სული უკვდავიაო, განაგრძობს იგი: „განა ერთი გადაცვლილა? სად წავიდა მისი სული? რატომ ალარ გვეცხადებაო“?

გოგის თავისი აზრის დასამტკიცებლათ შემდეგი შემთხვევა მოყავს თავისი ცხოვრებიდან: მეგობარი მყავდა, რომელიც „მამულის მტერთ“ მოკლეს, წინა დღით კი იგი ჩვენს ბაღში ვიხილე, ორი დღის უნახავი, მივაშურე, მაგრამ მან მითხრა მხოლოდ „მშვიდობითო“ და მიეფარა. ლევანი კი ამ შემთხვევას მეცნიერული თვალსაზრისით ხსნის: როცა შენი მეგობარი კვდებოდა, მოგეჩვენა, „თავისი ფიქრი გაგრძნობია, თვარა სხვა აქ სხვა რისა გვქონდეს რწმენაო“. ლევანსაც ქონია ამის მზგავსი შემთხვევა; ერთხელ გაშმაგებით მოუსურვებია თავისი სათაყვანებელი სატრფოს გვერდით ყოლა. სულ იმის ოცნებაში იყო: „ის აქ მოვა, ის აქ მოვაო“! იგი, მართლაც, მოვიდა, „აჩრდილივით შემოვიდა, მიბნედილი, სახე-მკრთალი“. შემდეგ ქალმა ისიც კი არ იცოდა, სიზმარში მინახულა, თუ ცხადათო. ამას კი ლევანი ასე ახსნის: „მე ვყავ ქალი შთაგონებით შემსჭვალული, მისი ძალა, ჩემმა ძალამ შეიპყრო და ჩემსკენ სწიაო“. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივის ენით რომ ვსთქვათ, საუბარი ს. სულაბერიძე. მოკლულის გვამი მდინარე ცხენის წყალში გადაუგდიათ. მეორე დღეს მეზობლებს გვამი მდინარის პირათ უპოვიათ. ჯერჯერობით მკვლელობის მიზეზი არ იციან. ეჭვით დააპატიმრეს მოკლულის მეზობლები: გოდერიძე და უგულავა.

ს. ჭალადიდი (ოდიში). 10 ნოემბერს ჭალადიდში მცხოვრებ გლეხს, გვარათ სართანიას სიმიდით სასიმიდე გაუვსია და შემდეგ დასასვენებლათ მის ქვეშ დამჯდარან ორი კაცი და ერთი ქალი. სასიმიდეს ბოძი გამოცლია, დასცემია მათ და იქვე მოუკლავს იგინი.

ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲬᲠᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲝ 21 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ამ თვის 21-ს ქუთაისის საკრებულო დარბაზში გაიმართება ფრიად საგულისხმო სალამო, რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარდეს იმ პროფესიონალურ შკოლას, რომლის გახსნაც უკვე მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვს ქუთათურ ქალთა საზოგადოებას.

სრული დარწმუნებული ვართ—დიდძალი საზოგადოება დაესწრება ამ სალამოს, დარწმუნებული ვართ, რომ ვინც კი გაიგებს ქალების ასეთ კეთილშობილურ მიზანს, არავინ არ დაიშურებს თავისი წვლილის შეტანას ამ საქმის განსახორციელებლათ.

ვუსურვებთ ჩვენს ქალებს ამ საქმის კეთილათ დაბოლოებას და მასთან ვულოცავთ მათ საზოგადო ს-რბიელზე გამოსვლას.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ როგორც ჩვენი დიდებული წარსული უპირველესათ ქართველი დედის სულის სიდიადემ შექმნა, ისევე მერმესიც მას ელის, მოელის მისი ძველებური სულიერი ძალის გამოღვიძებას.

გ. ბ.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ“

ქ-ნი კოლონტაისა.

ჟურნალი „современный мір-ის ეკენისთვის ნუმერში მოთავსებულია ქ-ნი კოლონტაის „ახალი ქალი“—საკითხი

---

*) **იხ. „სახ. გაზ.“ სურ. დამატ. №№ 165, 166.**

) **ხაზი ეგვლგან ჩემია.

*) ვინაიდან ბრიუნეტიერის ხსენებული **შრომა ხელთ არ მაქვს, ადნიშნული ადგილი** და ქვევით **ბრეფ. ჩიჟევის შეხედულებაც** მოიყავს **ბრეფ. ჩელპანოვის ცხოველებიდან: „ფილოსოფიის შესავალი“** გვ. 422.

) **არსებობს აგრეწოდებული ბიოლოგიური დასაბუთებაც პესიმიზმისა. რუსი ფსიქიატრი **ბრეფ. ჩიჟევი** ამტკიცებს, **ფიზიოლოგიურათაც ქვეყნათ ტანჯვა სჭარბობს სიამოვნებას. „ჩვენ შეგვიძლია** დავამტკიცოთ, **ასბობს** იგი, **რომ ფიზიოლოგიური ბრეცესები, რომელიც ასიმილაციის ორგანიზმის კეთილეერებას შეეთანხმებიან, რიცხვით ნაკლები არიან, ვიდრე ის ბრეცესები, რომელიც ორგანიზმის მოქმედების შესუსტებას ეთანაბრებიანო; აქედან ის კამეოდინარეობს, რომ რიცხვი ტანჯვათა უმეტესია, ვიდრე სიამოვნებათაო“. (ამის შესახებ** იხ. **ბრეფ. ჩიჟევის წერილი 1895 წლის** Неврологическій Вѣстникъ“ **ბიოლოგიური „დასაბუთება პესიმიზმისა).**

მეტათ საყურადღებო, უკვე იმდენათ მოწიფებული, ვფიქრობდი—ქ-ნ კოლონტაის ჩემთვის მიუტანია ის აზრები, ის შეხედულობა, რომელსაც ის თავის ახალ ქალში ატარებს-მეთქი. ამით მინდა ვსთქვა, რომ საკითხი, რომელსაც ეხება ქ-ნი კოლონტაი იმდენათ ფეხ-მოკიდებულია, შეთვისებული, რაღაც ნათესაობასა გრძნობ იმ ტიპებთან, რომელიც ის „ახალი ქალის“ სახელით გვაცნობს. უეჭველია, შორს აღარ არის ის დრო, როცა ეს ახალი ქალი ჩვეულებრივ მოვლენათ იქცევა და ქალთათვის დადგება დღე ნათელი თავისუფლებისა, დღე, როცა მათ მონურ მდგომარეობას, მონურ აზრებს სამუდამოთ აეყრება საუკუნეებით შექმნილი, დაჟანგებული ბორკილი.

———

ვინ არის ახალი ქალი? ნამდვილათ არსებობს იგი თუ არა?—იძლევა კითხვას ქ-ნი კოლონტაი და ამნაირათ გვიპასუხებს:—დიახ, არსებობს. ცხოვრების ყოველ საფეხურზე შეხვდებით მას, მუშა-ქალიდან დაწყებული, ვიდრე იმათამდი, ვინც მეცნიერებას ემსახურება. წყნარს, შეუმჩნეველ კანტორაში მიმუშავე ქალიდან, ვიდრე თავისუფალი ხელოვნების წარმომადგენლამდი. თუმცა ცხოვრებაში მათ ვხვდებით, უკანასკნელ დრომდი არ მიგვიქცევია ყურადღება. ცხოვრების მძიმე პირობებმა შექმნა ასეთი ტიპი, მათი ფსიქოლოგია შესამჩნევათ განსხვავდება წარსულის ქალებისგან, მათი მოთხოვნილება, ემოცია სულ სხვანაირია, სხვანაირათ უყურებს ცხოვრებას, სხვანაირათ უსწორებს მას ანგარიშს.

მერე ვინ არიან ეს ახალი ქალები, რას წარმოადგენენ ისინი?

ისინი არ არიან—გვიპასუხებს ქ-ნი კოლონტაი,—არც წმიდა; მშვენიერი ქალწულნი, რომელთა რომანიც მშვიდობიანი ქორწინებით სრულდება, არც ის ცოლები, რომელნიც ქმრის ღალატით იტანჯებიან, არც დროგასული ქალიშვილები, თავის ბედის მოტირალნი. არა! ეს სულ სხვაა, ახალი მეხუთე ტიპია, ჯერ უცნობი, დამოუკიდებელი შეხედულების ცხოვრებაზე, თავის პიროვნების გამამტკიცებელი, წინაალმდეგნი ყოველნაირი დამონავებისა, როგორც სახელმწიფოში, ისე ოჯახში, საზოგადოებაში, მებრძოლნი თავისუფლებისათვის.

„холостыя женщины“—ამ სახელით ნათლავს ის ამ „ახალი ქალის“ ტიპებს. ასეთი ქალები აღარ არიან მამაკაცების აჩრდილი; ასეთ ქალს საკუთარი შეხედულება აქვს ყველაფერზე; დღითი დღე იზდება ამ ტიპის ქალთა რიცხვი, ათასობით ვხედავთ მათ დილის რიჟრაჟზე გამწკრივებულს თავისი ბინებიდან სხვადასხვა ქარხნებისკენ მიმავალთ, რკინის გზებში, ტრამვაიზე. „холостыя женщины“—ეს ის ქალიშვილებია, რომელნიც ებრძვიან ცხოვრებას არსებობისათვის, დილიდან საღამომდი უსხედან მაგიდას სადმე კანტორებში, ან განუწყვეტლივ უკაკუნებენ ტელეგრაფის აპარატს, ან მაღაზიებში მთელი დღე დგანან დახლში.

„холостыя женщины“—ეს ის ქალიშვილებია ცოცხალი, სალი სულითა და თავით, სავსე იმედებით, რომელნიც მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძრისაკენ მიისწრაფიან თამაში, მანე ნაბიჯით, დაულალავათ ეძებენ მცირე-ფასიან გაკვეთილებს და სხვა სამუშაოს.

მათ შეხვდებით ლაბორატორიებში, არქივებში, საავათმყოფოებში, პრაკტიკაზე. უკანასკნელი დროის ცხოვრება ბადებს ასეთ ტიპებს, ლიტერატურა გვაცნობს მათ. აქ მას მოყავს მრავალი მაგალითი ლიტერატურიდან, მაგრამ მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით, მიზანი მათი გარკვეულია—ისინი უარყოფენ ყოველივე მას, რაც თავისუფლებას, პიროვნებას ზღუდავს. დღეს ჩვენ წინ დგას ქალი-პიროვნება, ქალი——ადამიანი. რა თვალსაზრისით უყურებს ახალი ქალი სიყვარულს? თუ უწინდელი ქალისთვის სიყვარული ყველაფერს შეიცავდა, თუ სიყვარული აშვენიერებდა, ავსებდა მის გაჭირვებულ ცხოვრებას, უმისობა კი უკარგავდა მიზანსა და სილამაზეს—ახალი ქალისათვის ეს გრძნობა მხოლოდ ერთი ხაზია ცხოვრების გზაზე. თქმა არ უნდა, მთელი თავისი არსებით განიცდის ამ ბედნიერ წუთებს, რომელსაც მას სიყვარული ანიჭებს, მაინც უმთავრეს მიზანს, მის „წმიდათა წმიდას“ შეადგენს ის, რასაც ემსახურება: სოციალური იდეა, მეცნიერება, შემოქმედებითი ნიჭი. აქიდან წარმოსდგება ის „ახალი შეხედულება“ საქმეზე, რომელსაც ვერ ვამჩნევდით ძველ ქალებში. საიდან წარმოსდგენ ასეთი ტიპის ქალები?

რასაკვირველია, თანამედროვე ცხოვრებამ, მისმა რთულმა მოთხოვნილებამ შექმნა ის ნახევარი საუკუნის წინათ, თუ კულტურული ქვეყნები ათი და ასი ათასობით იანგარიშებდენ ასეთ ქალებს, დღეს მილიონობით არიან. თავისი შრომით სურთ ამათ მოიპოონ ადგილი ქვეყანაზე, მით გაამართლონ თავისი არსებობა. რასაკვირველია, არც ისე ადვილია მისი დაწევა, რაც შესისხლ-ხორცებული გვაქვს—ერთბაშათ გადაქმნა თავისი თავის მეტათ ძნელია—ეს გამოიწვევს დიდ ბრძოლას ყოველი ქალისას, მაგრამ ცხოვრების ახალი პირობები აშკარათ მიგვითითებს ასეთ საჭიროებაზე და, რაც ადრე შევიგნებთ და შევსძლებთ მის განხორციელებას, მით უფრო ადრე დავიმკვიდრებთ შესაფერ ადგილს თანამედროვე ცხოვრებაში. ნუ დავივიწყებთ, რომ ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და რომ არ ჩამოვრჩეთ მას, გვჭირდება მეტი სიფხიზლე, მეტი ენერგია, მეტი სურვილი შრომისა...

თეოდოსია ჯაფარიძისა.

დეპეშები.

(ჰეტ. დეპ. სააგ).

რუსეთი.

ურალსკი. შავი ჭირით ავათ გახდა 27 კაცი, მოკვდა 24, ავათ არის 35.

პეტერბურგი. გაზეთ „როსიაში“ ბულგარეთის საქმეთა შესახებ წერილია დასტამბული. წერილში აღნიშნულია ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა რუსეთი ბულგარეთის მიმართ. აღნიშნულია აგრეთვე ბულგარეთში დინასტიისა და რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედება.

პრესის საქმეთა კანონპროეკტის კომისიამ პროეკტის შესახებ მსჯელობა გაგრძო. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია პროეკტის 67 მუხლმა. ამ მუხლის ძალით, დროული გამოცემის რამდენიმე ეგზემპლიარი უნდა წარუდგინოს გამოცემის 24 საათის წინ პრესის საქმეთა კომიტეტს ან რაიმე ამგვარ ორგანიზაციას. სკობელევის აზრით, პროეკტის ამ მუხლის განხორციელება წინასწარი ცენზურის აღდგენას ნიშნავს. პრესის საქმეთა სამართველოს უფროსი ამბობს:—დღევანდელი კანონი აკრძალული ნუმრების გავრცელების წინაალმდეგ ვერაფერს ხდება. ახლა სტამბაში, სადაც მუშათა გაზეთები ბეჭდება, მიდიან ნუმრების დასაკავებლათ, მაგრამ გაზეთის ვერც ერთ ნუმერს ვერ ნახულობენ. პურიშკევიჩი ლაპარაკობს და ეხება მილიუკოვსა და გერასიმოვს. გერასიმოვი თავჯდომარეს სთხოვს დამიხსენი პურიშკევიჩის უმზგავსებისაგანო. პურიშკევიჩი განაგრძობს:—ჟიდების გავლენაში მყოფთ სურთ რევოლუციონური პრესის გავრცელება. ჩერნოსვიტოვი პურიშკევიჩის ამგვარი გამოთქმის გამო პროტესტს აცხადებს. თავჯდომარე აღიარებს, რომ თავის დროზე ვერ მისცა გაფრთხილება და სთხოვს მსჯელობაში მწვავე და სასტიკ გამოთქმებს ნუ იხმართო. ლაპარაკობს გოდნევი და აღნიშნავს, რომ მთავრობა მიზანს აწევს და ახლა მუშათა გაზეთებს არა თუ ხელის მომწერლები, არამედ სამკითხველოებიც კი არ ღებულობსო.

საოლქო სასამართლოში „ნოვოე-ვრემიას“ რედაკტორი მ. სუვორინი გაამართლეს. სუვორინს ბრალათ ედებოდა სამსახურს გარეშე მყოფს პოლკოვნიკ მიასოედევზე ცილისწამების გავრცელება. საქმე დახურულ კარებში ირჩეოდა, მოწმეთა შორის ჩვენება ჩამოართვეს ა. გუჩკოვს, ზვეგინცევს, პავლოვსა და კრუპენსკის.

შეიმუშავეს პლანი ღამაღლესი სამეურნეო შკოლების გახსნისა. ამგვარი შკოლის გახსნის მხრით მეორე რიგში არის რუსეთის ჩრდილოეთ დასავლეთის მხარე და კავკასია, სადაც თითო უმაღლეს სამეურნეო შკოლას გახსნიან. გახსნიან აგრეთვე ბესარაბიასა და ტაშკენტში. ეს შემუშავებული პლანი განსახილველათ სასოფლო მეურნეობის საბჭოს წარედგინება, რომელიც მოწვეულ იქნება მომავალი წლის 27 თებერვალს.

ბალტა. ერობამ საჭიროთ აღიარა მაზრაში გზების გაკეთება. გზები უნდა გაკეთდეს ხუთი წლის განმავლობაში. ამ საქმეზე თავისი მხრით ერობამ გადასდვა 445 ათასი მანეთი. აგრეთვე უნდა აღსძრას შვამდგომლობა ხაზინიდან დახმარების შესახებ.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე იაღტას წავიდა.

მინსკი. ბორისოვსკის საერობო კრებამ გადასწყვიტა ყოველწლიურათ რვა შკოლის შენობა ააგოს.

უცხოეთი.

სკოპლე—სერბიის მთავრობა ახლათ დაპყრობილ ოლქებში არკვევს იმ პირთა რიცხვის რაოდენობას, რომელთაც იარაღის ტარება შეეძლებათ. ასეთ პირთა რიცხვში 20—38 წლისანი მოხვდებიან.

დუბლინი. სამეფო თეატრში ბონარლაუს სიტყვის თქმის დროს, თეატრის წინ რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა და ნაციონალური სიმღერა იმღერა. ხალხი ისვრიდა ქვებს და რევოლვერს. დაიჭრა მიტინგში მონაწილე ერთი ქალი.

ჰარიზი. დეპუტატთა პალატაში სესხის წინაალმდეგ ლაპარაკი კაიმ, მან განაცხადა: დემოკრატია არ შეიწყნარებს ახალი გადასახადების შემოღებას მანამ, ვიდრე შეძლებულთა კლასი სხვერპლის შეწირვაზე თანახმა არ გახდება. ორატორი ბრალს სდებს მთავრობას, რომ ეს უკანასკნელი კაპიტალისტებს გადასახადს არ აწერს.

სოფია. ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პლევნაში წარმოთქმული როდოსლავოვის სიტყვა დამახინჯებულათაა გადაცემული სააგენტოსაგან საზღვარგარეთის გაზეთებში. როდოსლავოვმა სთქვა:—ბულგარეთმა არ უნდა აწარმოოს რუსეთის სასარგებლო პოლიტიკა, ის უნდა გაურბოდეს აგრეთვე სხვა სახელმწიფოს პოლიტიკის წარმოებასაც, უნდა აწარმოებდეს მხოლოდ ბულგარეთის სხვისგან დამოუკიდებელს ნაციონალურ პოლიტიკას. სახელმწიფოთა წინაშე ჩვენ ფრთხილათ უნდა ვიქცეოდეთ და ხელვმძღვანელობდეთ ჩვენი სამშობლო ქვეყნის ინტერესების მიხედვითო.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის [illegible] ში ფინანსის მინისტრმა მოხსენება წაიკითხა ბოსნიისა და ეკონომიურ-კულტურულ მდგომარეობის [illegible] განაცხადა:—ორივე ეს პროვინცია განვითარების [illegible] რომ ამ პროვინციებში მრავლდება შკოლათა რიცხვი, გაყავთ რკინის გზები და სხვა. ამ მუშებს წინ ელობება ბოსნიის სეიმი, მაგრამ ახალი სეიმის შედგენილობაც, რომ ასე იმოქმედებს, ამის იმედი არ არისო.

მადანი. გაზეთ „სალეს“ სტამბოლიდან ატყობიებენ:—ოსმალეთის ფინანსის მინისტრმა, იტალიასთან საყურადღებო ფინანსიური ხელშეკრულობა დასდვა.

სოფია. გენადიევმა, საარჩევნო კომპანიის საქმის შესახებ ხარმანში ყოფნის დროს გაიგო, რომ ოსმალეთის შინაურ საქმეთა მინისტრი თალათ ბეი ადრიანოპოლში იმყოფება და მიიწვია. თალათბეი დათანხმდა და მუსტაფა-ფაშას თანხლებით გენადიევს ესტუმრა. ილაპარაკეს ოსმალეთ-ბულგარეთს შორის სადაო საკითხებზე.

ზაგრები. ხორვატიაში საგანგებო წესებს აუქმებენ. ორშაბათს გამოცხადდება ცნობა მეფის კომისარის დანიშვნის შესახებ.

რომი. ალბანეთის დამოუკიდებლათ გამოცხადებიდან ერთი წლის დღესასწაულის გამო „მესაჯერო“ სწერს:-წელიწადი გავიდა ალბანეთის დამოუკიდებლათ გამოცხადებას შემდეგ. წლის თავს დღესასწაულობენ და ეს დღესასწაული ევროპას უკანრახებს, რომ ალბანეთის საქმეები უნდა მოაწესრიგოს. ალბანეთის მცხოვრებლებმა უნდა დაანახოს ყველას, რომ ღირსი არიან დამოუკიდებლობისა.

ათინა. მეფემ ინახულა ინგლისის ადმირალი.

ვენა. გალიციის სეიმს 1914 წლის 22 თებერვალს მოიწვევენ.

ტოკიო. მინისტრთა საბჭომ 1914 წლის ბიუჯეტი მოიწონა. გასავალი 550 მილიონს უდრის, შემოსავალი ოცი მილიონით მეტია.

დაბა-სოფელი.

სოფ. ამაღლება (ქვემო იმერეთი). მოსაწყენია, რა თქმა უნდა, წამდა-უწუმ ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკი, მაგრამ რას იზამ, რომ ჩვენი სასტიკვარია ეს. ვინ არ იცის მეოცე საუკუნეში, რომ სწავლა ერთადერთი საშვალებაა ბოროტებასთან და ცხოვრების უკეთესმართ პირობებთან საბრძოლათ. და რატომ ხდება, რომ ზოგიერთ სოფელში აქამდი არ არსებობს პირველდაწყებითი სასწავლებელი? უმთავრესი მიზეზი ამისა ისაა, რომ ხალხს არა ყავს მეთაური, წინამძღვანი, ერთ-ერთ ადგილას ერთ-ერთ ადამიანს, ერთ-ერთ ოჯახს, ერთ-ერთ ეკლესიას, ერთ-ერთ ... ...

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ
Ი. ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘᲡ ᲝᲕ—ᲑᲘᲡ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ᲔᲠᲗᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ
ᲛᲗᲔᲚ ᲐᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲭᲘᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ

Ხ. ᲮᲠᲘᲡᲢᲝᲓᲣᲚᲘᲓᲘᲡ

(ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲔᲥᲐᲮᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲠᲝᲗᲔᲑᲘᲡ)

ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚ ᲛᲔᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲜᲪ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲗ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲔᲠᲗ ᲧᲣᲗᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ 200 ᲙᲝᲚᲝᲤᲘᲘᲡ ᲔᲥᲕᲡ ᲛᲘᲡᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲛᲐᲗ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐ ᲙᲝᲚᲝᲤᲘ 1 Ⓜ. 70

ᲧᲣᲗᲘᲡᲐ 40 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲔᲡᲚᲡ ᲬᲘᲘᲚᲔᲑᲔᲜ. ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐ ᲗᲔᲡᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲡᲨᲘ, ᲛᲘᲰᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ. ᲤᲐᲠᲡᲐᲜᲐᲧᲐᲜᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲕᲐᲜᲗᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲥᲕᲘᲢᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲢᲠᲘᲙᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲧᲣᲚᲘᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲕᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲐᲗ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ **ᲓᲔᲕᲜᲘᲢᲘ ᲔᲥᲕᲗᲐᲛᲯᲡ ᲛᲔ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ**, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲤᲐᲠᲪᲮᲐᲜᲐᲧᲐᲜᲔᲕᲨᲘ ᲘᲐᲠᲛᲣᲠᲙᲐᲨᲘ.

ᲓᲔᲞᲝᲚᲐᲛᲞᲔᲣᲚᲘᲡ ᲭᲣᲠᲭᲚᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲐᲕᲔᲯᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲞᲐᲚᲘᲔᲠᲘᲡ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

Ⓕ. Ⓢ. ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ,

ᲛᲝᲔᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲛᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲐᲛᲙᲐᲣᲚᲘ: ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲕᲠᲔᲑᲘ, ᲦᲣᲛᲔᲚᲔᲑᲘ (ᲭᲘᲩᲔᲑᲘ), ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲔᲣᲚᲝᲔᲑᲘ, ᲘᲐᲢᲐᲙᲖᲔ ᲡᲐᲭᲔᲜᲘ „ᲚᲘᲜᲔᲚᲝᲣᲛᲘ“, ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ (ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲔᲑᲘ), ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲡᲐᲛᲙᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲜᲘᲕᲗᲘ, ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ, ᲨᲕᲐᲚᲔᲠᲘᲡ ᲗᲝᲤᲘ 2 ᲨᲐᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲐᲜᲔᲗᲝᲜᲐᲮᲕᲔᲠᲐᲛᲓᲔ. ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ Ⓕ. Ⓢ. ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲕᲘ. №10.

ᲛᲫᲦᲝᲚᲘ. ᲐᲕᲘᲦᲝᲗ ᲠᲘᲝᲜᲡ ᲒᲐᲦᲛᲐ ᲛᲦᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲘᲡᲠᲘᲗᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ, ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ. ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲡᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ.

Ს. ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲡ ᲣᲬᲔᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲖᲓᲐ-ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ.

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲕᲐᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲛᲐᲚᲔᲡᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲡ; ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗ, ᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐᲗ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲡ. ᲑᲔᲕᲠᲡ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲐ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲩᲕᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲬᲣᲮᲐᲠᲝᲗ, ᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲔᲢᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲘ-ᲝᲠᲐᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ... ᲠᲐ ᲥᲜᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ? ᲒᲐᲛᲝᲔᲚᲚᲘᲐ ᲦᲝᲜᲔ... ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲘᲤᲚᲐᲜᲒᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲪᲣᲓ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ Ⓢ. ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ. ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲬᲘᲜ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲡᲓᲣᲦᲓᲐ; ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲤᲠᲗᲐᲡ ᲨᲚᲘᲓᲐ, ᲓᲐ ᲦᲐᲠᲘᲗ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲥᲝᲜᲓᲐᲗ—ᲐᲮᲚᲐ ᲡᲓᲣᲛᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ; ᲓᲐ ᲐᲠᲡᲐᲘᲗ ᲡᲐᲨᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲩᲐᲜᲡ...

Iratus.

ᲠᲔᲓᲐᲥ.-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ⓖ. ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ.

ᲮᲠᲔᲡᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲐᲑᲐᲜᲝ
ᲛᲔᲠᲘᲠᲒᲐᲡᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲐᲔᲠᲖᲔ
ᲫᲛ. ᲧᲝᲠᲧᲝᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ

ᲭᲘᲩᲔᲑᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲙᲣᲠᲜᲐᲕᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ: ᲥᲐᲠᲔᲑᲘ (ᲠᲔᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲔᲑᲘ) ᲙᲣᲭᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲡᲢᲔ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲬᲧᲐᲚᲘ ᲪᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲪ. ᲐᲥᲕᲔᲐ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ, ᲐᲑᲐᲜᲝ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ. ᲮᲠᲔᲡᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲨᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲡᲐᲯᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ.

ᲛᲔᲒᲕᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲡᲐᲔᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ!

1913 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲡ ᲞᲘᲗᲝᲥᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐ ᲒᲝᲚᲒᲔᲑᲘᲡ, ᲪᲣᲓᲘ ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲞᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲣ ᲚᲝ-Ს ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲔ **„ᲙᲚᲝ ᲧᲚᲣᲠᲣᲚᲘ“** ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲔᲜᲝᲑᲡ ᲮᲡᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲕᲐᲖᲡ ᲣᲕᲔᲚᲐ ᲜᲐᲘᲠᲘ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲬᲘᲨᲘᲡ ᲕᲐᲖᲔᲑᲡ. ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲐᲗ 1913—14 ᲬᲚ. 35,000 ᲪᲝᲚᲘᲙᲝᲣᲠᲘ, 40,000 ᲙᲠᲐᲮᲣᲜᲐ, 28,000 ᲪᲘᲪᲙᲐ, 12,000 ᲐᲜᲓᲐᲡᲐᲣᲚᲘ. 10,000 ᲛᲬᲕᲐᲜᲔ, 32,000 ᲠᲥᲐᲬᲘᲗᲔᲚᲘ, 12,000 ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲗᲨᲕᲘᲚᲘᲡ, 8000 ᲝᲪᲡᲐᲜᲣᲠᲘ, 35,000 ᲡᲐᲤᲔᲠᲐᲕᲘ, 25,000 ᲐᲚᲘᲙᲝᲢ, 8000 ᲠᲘᲡᲚᲘᲜᲒᲘ, 10,000 ᲞᲘᲜᲝ, 25,000 ᲡᲔᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ 42,000 ᲙᲐᲑᲔᲠᲜᲔ, 20,000 ᲤᲝᲡ—ᲑᲚᲐᲜᲨᲘ, 28,000 ᲒᲐᲛᲔ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲓᲐ 80,0000-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲕᲐᲖᲘ „ᲚᲝ“-ᲖᲔ ᲓᲐᲛᲣᲨᲜᲘᲚᲘ, 3309 101—14, 1202 420 A. ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲚᲕᲘᲜᲔ ᲕᲐᲖᲔᲑᲘᲡᲐ 65 ᲛᲐᲜ. 1000 ᲓᲐ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘᲡᲐ—80 ᲛᲐᲜ. ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲫ. ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ Ⓥ. ᲢᲘᲔᲒᲝ.

Ⓖ. ᲕᲝᲚᲠᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ⓢ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ, ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ ᲣᲛᲐᲯᲓᲡᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡᲢᲔᲠᲘᲡ, ᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲫᲘᲡ ᲜᲔᲩᲐᲕ-ᲛᲐᲚᲢᲔᲕᲘᲡ ᲑᲔᲛᲡᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡᲐ, ᲛᲘᲐᲭᲘᲔᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲧᲣᲗᲘᲡ „БЕМСКОЕ“

ᲠᲙᲘᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ
ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲔᲣᲚᲘ
ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘᲐ: ᲙᲐᲠᲘᲡ, ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲦᲣᲛᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲜᲘ; ᲡᲐᲓᲣᲠᲒᲚᲝ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ, ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲜᲘᲩᲑᲔᲑᲘ, ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲘ, ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲖᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ, ᲨᲕᲐᲚᲘᲔᲠᲘ, ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ, ᲔᲛᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲭᲣᲠᲩᲔᲚᲘ, ᲐᲡᲤᲐᲚᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲮ.

ᲒᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲐᲗ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲧᲓᲝᲛ ᲤᲐᲡᲐᲗ.

Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲒᲣᲗᲐᲠ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲘᲰᲔᲘᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ № 65

Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ. (ᲡᲐᲙᲠᲔᲑ. ᲢᲐᲫᲐᲠᲘᲐᲜ).
Ⓐ. ᲗᲐᲑᲐᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ, ᲡᲐᲥᲡᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲔᲠᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ, ᲒᲠᲐᲛᲐᲤᲝᲜᲔᲑᲘ, ᲕᲔᲚᲝᲡᲘ�პᲔᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ. ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲡᲘᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲕᲘᲫᲚᲔᲕᲘ. ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲕᲧᲘᲓᲘᲗ ᲜᲘᲡᲘᲐᲗᲐᲪ ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲗ.

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲠᲐ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝᲗ
Ⓑ Ⓐ Ⓝ Ⓚ Ⓘ Ⓢ Ⓐ

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-17 §-ᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ, 1913 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ, ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ, ᲨᲣᲐᲓᲦᲘᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲚᲐᲗ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲗ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡᲑᲡᲐᲪ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲨᲔᲡᲐᲢᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐᲗ.

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲔ-18 ᲞᲐᲠᲐ�გᲠᲐᲤᲘᲗ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲢᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲛ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲒᲐᲡᲬᲔᲕᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲗᲣ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲐᲮᲡᲜᲔᲕᲘᲝᲡ.

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲐᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲢᲐᲜᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲛ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲡ: ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲘ—**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ**, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲙᲐᲡᲐᲨᲘ; **ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ**—ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲗᲐᲜ, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ, ᲐᲖᲝᲕᲝ-ᲓᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲝᲚᲒᲐ ᲙᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ „Ა. ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.“ **ᲑᲐᲗᲝᲛᲨᲘ**—ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ; **ᲡᲝᲮᲣᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ**—ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ; ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ, ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓᲓᲐᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ—ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ—ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲗᲐᲜ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲡᲗᲮᲝᲕ